საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 2 22 0000545036

25/05/2022

„შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 27 აპრილის №416095 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. „შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 27 აპრილის №416095 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება და გადაწყვეტილების მეოთხე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„4. საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და განსაზღვრა შემდეგი რჩევები და რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

4.1 მიზანშეწონილია, უნივერსიტეტსა და დაწესებულება/ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების ნაწილში დაზუსტდეს სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა, ვინაიდან კონკრეტულ ორგანიზაციაში პრაქტიკის გამვლელი სტუდენტების სავარაუდო რაოდენობის წინასწარ განსაზღვრა მნიშვნელოვანია პრაქტიკის სათანადოდ დაგეგმვის, მიზნობრივად სტუდენტების გადანაწილებისა და პრაქტიკული კომპონენტის სწორი მენეჯმენტისთვის;

4.2 სამაგისტრო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, რაც ითვალისწინებს, ღრმა და სისტემური ცოდნის გადაცემას კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში არჩეული კონცენტრაციის ფარგლებში, აუცილებელია გაიზარდოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესორების რაოდენობა, და წარმოდგენილი იყოს არამხოლოდ სისხლის, არამედ კერძო და საჯარო სამართლის მიმართულებითაც;

4.3 აკადემიური პერსონალის რანგირების წესით გათვალისწინებული აკადემიური პერსონალის ვალდებულებები და წახალისების მექანიზმები გავრცელდეს როგორც ამ წესის ძალაში შესვლამდე, ასევე ძალაში შესვლის შემდეგ დასაქმებულ პერსონალზე;
4.4 გაიზარდოს პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, განსაკუთრებით ქვეყნის გარეთ საერთაშორისო ღონისძიებებში პერსონალის მონაწილეობის კუთხით.
რჩევები:
4.5 სასურველია, პრაქტიკული კომპონენტის შემადგენელი 15 კრედიტის სტუდენტის მიერ ათვისების კრიტერიუმები და პირობები უფრო კონკრეტულად იქნას გაწერილი პროგრამით ნებისმიერი ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით;
4.6 სასურველია, უნივერსიტეტმა გააფართოვოს სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში სტუდენტების მეტი ჩართულობის მექანიზმები და შესაძლებლობები სტუდენტებისათვის მეტ საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღების შეთავაზებითა და ამ პროგრამების სტუდენტების მიერ გავლის შესაძლებლობის უზრუნველყოფით;
4.7 სტუდენტებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, კარგი იქნება, უნივერსიტეტი ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით აქტიურად თუ იმუშავებს, სტუდენტებს უფრო მეტ გაცვლით პროგრამას შესთავაზებს და შეუქმნის პირობებს მათში მონაწილეობის მისაღებად;
4.8 გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამომდინარე, კარგი იქნება უსდ-ს მიერ გაიზარდოს სამართლის სამაგისტრო პროგრამისათვის რელევანტური და აქტუალური ღონისძიებების ორგანიზება, ანდა სტუდენტების მონაწილეობის უზრუნველყოფა. განსაკუთრებით კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში, როდესაც არაერთი პლატფორმა შესაძლებელს ხდის მსგავსი აქტივობის გამართვას.
4.9 კურსდამთვრებულებთან საუბრისას და სამაგისტრო ნაშრომების განხილვისას გაირკვა, რომ ნაშრომის შესრულებისას, ფაქტობრივად, არ ან მცირე ოდენობით გამოიყენეს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზები, უცხოური ლიტერატურა, თუმცა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირება. ამიტომ, კარგი იქნება, უსდ თუ ჩაატარებს დამატებით აქტივობებს, აქტიურად გააცნობს სტუდენტებს სამეცნიერო ბაზების მოხმარების წესსა და საჭიროებას, რათა მაგისტრანტებს ხელი შეუწყოს უცხოური სამეცნიერო ბაზების გამოყენების პროცესში;
4.10 კარგი იქნება, რომ უსდ-მ „ბიბლიოთეკის დებულების“ 3.1 პუნქტის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც, „ბიბლიოთეკაში დაცული უნდა იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებით განსაზღრული ყველა ლიტერატურა წიგნადი თუ ელექტრონული ფორმით და დამხმარე მასალები“, უსდ/ბიბლიოთეკამ უზრუნველყოს სილაბუსებით გათვალისწინებული ყველა დამხმარე ლიტერატურის ერთი ეგზემპლარი მაინც;
4.11 პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით უსდ-ს გააჩნდეს აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც ასახავს სამოქმედო გეგმის ყოველწლიური შესრულების კონკრეტულ და რეალისტურ ინდიკატორებს. ამასთან შეიქმნას ინდიკატორების შესრულების კონტროლის მექანიზმები;
4.12 საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საქმიანობის ინსტრუქციაში გაიწეროს პროგრამის ხელმძღვანელის ვალდებულება, შეისწავლოს შემოწმების შედეგად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აღმოჩენილი დარღვევებისა და შეუსაბამობების სავარაუდო მიზეზები და შექმნას მექანიზმები მათი დროულად აღმოფხვრის მიზნით.“

2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 25 მაისის №544537 სხდომ ის ოქმის №06 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“

საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. No2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით